# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №15

ქ. თბილისი 19 თებერვალი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის - ნუგზარ კედელაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ადა, მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის (შემდგომში ,,მიმწოდებელი") სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გზით, პროექტ - დიოფანტური განტოლებების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა დანიშნულების ნივთების შეძენა (CPV30100000,30200000, 31200000, 32400000) დანართი #1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 337.00 (სამას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2. მიწოდება დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

**მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 19 თებერვლიდან და მოქმედებს 2019 წლის 19 აპრილის ჩათვლით.

**მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

4.1 „მიმწოდებელი"ვალდებულია „შემსყიდველს" მიაწოდოს სხვადასხვა სახის ნივთები შეთანხმების პირობების დაცვით, ხოლო უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში აანაზღაუროს საქონლის ღირებულება და თანმდევი ხარჯები.

4.2. „შემსყიდველი" ვალდებულია უქრუნველყოს „მიმწოდებლის" მიერ მიწოდებული საქონლის საფასურის ანაზღაურება, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარებსის აქტის შესაბამისად, ათი საბანკო დღის ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა**

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა**

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

**მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 8. დავის გადაწყვეტა**

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. ფორს მაჟორი**

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

**მუხლი 10. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით და დამოწმებულია ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამით.

**მხარეთა რეკვიზიტები**:

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სსიპ ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა<br>მის.:ქ.თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. #9<br>ტელ: 299 00 73<br>ს/კ 203853856<br>ს/ს "თი ბი სი ბანკი"<br>ბანკის კოდი TBCBGE22<br>ა/ა GE10TB7123736020100005<br>**დირექტორი**<br>**ნუგზარ კედელაშვილი**<br>---------- | **შპს ადა**<br>**მის: ქ. თბილისი,**<br>**ტელ: 2244030**<br>**ს/კ # 405027830**<br>**საბანკო რეკვიზიტები:**<br>**ს.ს. საქართველოს ბანკი**<br>**ბანკის კოდი BAGE22**<br>**ა/ა GE82BG0000000626529900**<br><br>**დირექტორი**<br>**გიორგი ღუღუნიშვილი**<br><br>---------- |

**დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა**

1. შესყიდვის ობიექტია:

| # | **დასახელება** | **CPV კოდი** | **რაოდენობა** | **ერთეულის ფასი** | **საერთო** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პროექტორის საკიდი | 30100000 | 1 ცალი | 75.00ლარი | 75.00 ლარი |
| 2 | დამაგრძელებელი | 31200000 | 1 ცალი | 21.00 ლარი | 21.00 ლარი |
| 3 | ქსელის დამცავი | 31200000 | 2 ცალი | 10.00 ლარი | 20.00 ლარი |
| 4 | როუტერი | 32400000 | 1 ცალი | 43.00 ლარი | 43.00 ლარი |
| 5 | პაჩ კორდი 3მ | 32400000 | 1 ცალი | 3.00 ლარი | 3.00 ლარი |
| 6 | პაჩ კორდი 20მ | 32400000 | 1 ცალი | 20.00 ლარი | 20.00 ლარი |
| 7 | HDMI კაბელი | 32400000 | 1 ცალი | 25.00 ცალი | 25.00 ლარი |
| 8 | პრეზენტერი | 30231200 | 1 ცალი | 40.00 ლარი | 40.00 ლარი |
| 9 | ფლეშ მეხსიერება | 30234000 | 5 ცალი | 18.00 ლარი | 90.00 ლარი |
| სულ ღირებულება | | | | | 337.00 ლარი |

სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის
ქალაქ თბილისის №42 საჯარო
სკოლის დირექტორი /ნუგზარ კედელაშვილი/

შპს ადა-ს დირექტორი /გიორგი ღუღუნიშვილი/